

ნანა ჯაფარიძე
ნანი ჭულაია
მაია წილოსაძე

6

გათავაზივა

ნაცილი II



მოსწავლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს

როგორ ვისარგებლოთ წიგნით

წიგნზე მუშაობა რომ გაგიადვილდეს, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, გაგაცნოთ წიგნის აგებულება.

წიგნი შედგება თავებისგან, თითოეული თავი კი – პარაგრაფებისგან. ყოველ თავში მოცემულია ერთი ან ორი „ტესტი თვითშემოწმებისთვის“. ტესტზე მუშაობა დაგეხმარება, შეამონმო, რამდენად კარგად აითვისე განვლილი მასალა, რა გიჭირს, რა საკითხებზე უნდა გაამახვილო ყურადღება. წიგნში ზოგიერთი პარაგრაფის ბოლოს შეხვდები რუბრიკებს:

„პროექტი დამოუკიდებელი კვლევისთვის“ – მის შესასრულებლად დაგჭირდება ინფორმაციის მოძიება (ცნობარებში, სხვადასხვა სახის ლიტერატურაში, ინტერნეტში) და საპრეზენტაციო თემის წარმოდგენა.

„ამოცანა დამოუკიდებელი კვლევისთვის“ – წმინდა მათემატიკური ხასიათისაა. ამამოცანების შესასრულებისას გამოიმუშავებ ფიქრის, კვლევის, ლოგიკური აზროვნების, ვარაუდების გამოთქმისა და დასკვნების გამოტანის უნარებს.

„ეს საინტერესოა“ გაგაცნობს საინტერესო ფაქტებსა და თეორიებს მათემატიკის შესახებ.

წიგნში განმარტებები, თვისებები, ფორმულები, ზოგიერთი საჭირო დასკვნა ფერად ფორმზეა მოცემული.

ყოველ პარაგრაფში შეხვდები ამ ნიშნებს:

* – შედარებით რთული ამოცანა;


? – უმარტივესი კითხვები, რომლებსაც ახალი მასალის ახსნის პროცესში თავად მოსწავლემ უნდა გასცეს პასუხი.

 – წყვილებში სამუშაო

 – პროექტი კვლევისთვის

 – „ვითამაშოთ“

 – რუბრიკა „მოიფიქრე“

 – ტესტი თვითშემოწმებისთვის

 – ჯგუფური მეცადინეობა

 – რუბრიკა „ეს საინტერესოა“

წიგნის ბოლოს მოცემულია საგნობრივი საძიებელი, მათემატიკური ნიშნების ცხრილი და ზომის ერთეულების ჩამონათვალი, ასევე – დამატებითი დავალებები ისტ-ის გამოყენებით და სავარჯიშოების პასუხები.

გაუფრთხილდი წიგნს!

ნუ გააკეთებ მასში ჩანაწერებს!

გისურვებთ წარმატებებს!

სარჩევი

თავი 3

ნილადების გამრავლება გამოცანა-გაყოფა

| | | |
|-----|---|----|
| 1. | ნილადების გამრავლება (ჯგუფური მეცადინეობა) | 8 |
| 2. | პრაქტიკული სამუშაო | 11 |
| 3. | ამოვხსნათ ამოცანები ნილადებზე | 12 |
| 4. | გამრავლების განრიგებადობის კანონი | 15 |
| 5. | ურთიერთშებრუნებული რიცხვები | 18 |
| 6. | ჩვეულებრივი ნილადების გაყოფა | 20 |
| 7. | ამოცანები ნილადებზე | 24 |
| 8. | ამოვხსნათ ამოცანები | 27 |
| 9. | ერთობლივი მოქმედებები ნილადებსა და ათწილადებზე | 29 |
| | ტესტი თვითშემოწმებისთვის | 31 |
| III | თავის დამატებითი სავარჯიშოები | 32 |

თავი 4

პროკორცია

| | | |
|-----|--|----|
| 1. | შეფარდება | 36 |
| 2. | პროპორცია | 40 |
| 3. | ადგილმდებარეობის გეგმა (ჯგუფური მეცადინეობა) | 44 |
| 4. | ამოვხსნათ ამოცანები პროპორციის გამოყენებით | 45 |
| 5. | წრიული დიაგრამა | 48 |
| 6. | ავაგოთ დიაგრამა კომპიუტერში (ჯგუფური მეცადინეობა) | 51 |
| 7. | საშუალო არითმეტიკული | 52 |
| 8. | პრობლემის მოძიება | 56 |
| 9. | პარალელური გადატანა | 61 |
| 10. | ღერძული სიმეტრია | 64 |
| 11. | მცირე ზომის ფიგურების ფართობი | 67 |
| | ტესტი თვითშემოწმებისთვის | 68 |
| IV | თავის დამატებითი სავარჯიშოები | 69 |

| | |
|---|----|
| ამოცანები მათემატიკის მოყვარულთათვის | 71 |
| დავალებები ისტ-ის გამოყენებით | 76 |
| პასუხები | 77 |
| საგნობრივი საძიებელი | 79 |
| წიგნში გამოყენებული მათემატიკური ნიშნების ცხრილი | 79 |
| ზომის ერთეულები | 79 |
| ძველებური საზომი ერთეულების გამოსახვა მეტრული საზომი ერთეულებით | 79 |

თავი 3

ცილადების გამრავლება-გაყოფა






შეისწავლი:

შეისწავლი წილადების გამრავლებასა და გაყოფას, რიცხვის წილადი ნაწილის და რიცხვის პოვნას მისი ნაწილის მიხედვით.

შეძლებ:

- ჩვეულებრივი წილადების გამრავლებასა და გაყოფას;
- ამოცანების ამოხსნას რიცხვის წილადი ნაწილის პოვნაზე;
- რიცხვის პოვნას, თუ ცნობილია მისი წილადი ნაწილის მნიშვნელობა.

1. ცილადების გამრავლება



1. დააკვირდი ნახაზს და შეასრულე მოქმედება:

ა) $0,7 \cdot 0,6$; ბ) $\frac{5}{7} \cdot \frac{3}{4}$.

2. შეადგინე შესაბამისი სურათი და შეასრულე მოქმედება:

ა) $\frac{2}{3} \cdot \frac{2}{5}$; ბ) $\frac{1}{3} \cdot \frac{4}{5}$.

დააკვირდი მიღებულ შედეგებს და გამოიტანე გონივრული დასკვნა.

ალბათ, სწორად მიხვდი:

ორი წილადის ნამრავლი არის წილადი, რომლის მრიცხველი მოცემული წილადების მრიცხველების ნამრავლის, ხოლო მნიშვნელი – მათი მნიშვნელების ნამრავლის ტოლია.

გამრავლების წესი ასოითი სახით ასე ჩაიწერება:

$$\frac{a}{b} \cdot \frac{c}{d} = \frac{ac}{bd}$$



3. აჩვენე, რომ წილადების გამრავლების დროს სრულდება გამრავლების გადანაცვლებადობისა და ჯუფთებადობის კანონები.

ამოცანა

მართკუთხა ფორმის ნაკვეთის სიგრძეა $\frac{2}{5}$ კმ, სიგანე კი – $\frac{3}{8}$ კმ. იპოვე ნაკვეთის ფართობი.

ამოხსნა:

ნაკვეთის ფართობი იქნება: $\frac{2}{5} \cdot \frac{3}{8} = \frac{6}{40} = \frac{3}{20}$ (კმ^2).

$1 \text{ კმ}^2 = 1000\ 000 \text{ მ}^2$. ამიტომ ნაკვეთის ფართობია

$$\frac{3}{20} \cdot 1000\ 000 \text{ მ}^2 = 15\ 000 \text{ მ}^2$$

მაგალითი 1.

იპოვე ნამრავლი:

ა) $\frac{8}{9} \cdot \frac{3}{10}$; ბ) $1\frac{5}{58} \cdot 5\frac{11}{21}$; გ) $\frac{4}{15} \cdot 20$.

$$1\text{ ჰა}=10000\text{ მ}^2$$

ამონიკა:

ა) $\frac{8}{9} \cdot \frac{3}{10} = \frac{\cancel{8}^4 \cdot \cancel{3}}{\cancel{9}^3 \cdot \cancel{10}^5} = \frac{4}{15}$

ბ) $1\frac{5}{58} \cdot 5\frac{11}{21} = \frac{63 \cdot 116^2}{58 \cdot 21} = 6$

გ) $\frac{4}{15} \cdot 20 =$

$\frac{4}{15} \cdot \frac{20}{1} = \frac{4 \cdot 20^4}{15^3} = \frac{16}{3} = 5\frac{1}{3}$

უმჯობესია, ჯერ შევევეცოთ და შემ-
დეგ გადავამრავლოთ.

შერეული რიცხვები გადავაქციოთ
არანესიერ წილადებად და შემდეგ
გადავამრავლოთ.

$20 = \frac{20}{1}$

შერეული რიცხვები
გამრავლებისას
ჯერ გადავაქ-
ციოთ არანესიერ
წილადებად და მერე
გადავამრავლოთ.



სავარჯიშოები:

1. ჩამოაყალიბე ჩვეულებრივი წილადების გამრავლების წესი.

2. როგორ გავამრავლოთ წილადი ნატურალურ რიცხვზე?

3. როგორ გავამრავლოთ შერეული რიცხვები?

4. როგორ ვიპოვოთ მოცემული რიცხვის წილადი ნაწილი?

5. შეასრულე მოქმედება:

ა. $\frac{1}{3} \cdot \frac{1}{2};$

გ. $\frac{2}{3} \cdot \frac{4}{5};$

ბ. $\frac{5}{6} \cdot \frac{3}{4};$

ბ. $\frac{7}{8} \cdot \frac{9}{16};$

გ. $\frac{7}{8} \cdot \frac{9}{11};$

გ. $\frac{23}{25} \cdot \frac{5}{17};$

ღ. $\frac{7}{15} \cdot \frac{45}{19};$

ღ. $\frac{11}{18} \cdot \frac{15}{19}.$

6. გამოთვალე:

ა. $1\frac{1}{3} \cdot 4;$

გ. $\frac{8}{17} \cdot 3\frac{2}{5};$

ბ. $7\frac{2}{3} \cdot 6;$

ღ. $\frac{3}{5} \cdot 1\frac{5}{6};$

გ. $8 \cdot 3\frac{1}{4};$

ი. $3\frac{1}{2} \cdot 4\frac{2}{3};$

ღ. $21\frac{2}{9} \cdot 9;$

კ. $12\frac{1}{3} \cdot 3\frac{1}{5};$

გ. $2\frac{3}{4} \cdot \frac{5}{6};$

ლ. $\frac{9}{50} \cdot \frac{27}{18};$

ღ. $\frac{7}{13} \cdot 5\frac{1}{5};$

ღ. $1\frac{5}{7} \cdot \frac{14}{36}.$

7. შეადარე:

ა. $\frac{3}{5} \cdot 1\frac{3}{8} \text{ და } \frac{3}{5};$

ღ. $5\frac{1}{3} \cdot 3\frac{2}{5} \text{ და } 4\frac{2}{7} \cdot 2\frac{4}{5};$

ბ. $\frac{2}{7} \cdot 3\frac{1}{4} \text{ და } 1;$

გ. $\frac{5}{8} \cdot 3\frac{3}{7} \text{ და } 2\frac{1}{4};$

გ. $8\frac{1}{11} \cdot 1\frac{5}{6} \text{ და } 7\frac{1}{2} \cdot 2\frac{2}{3};$

ღ. $6\frac{2}{3} \cdot \frac{3}{8} \text{ და } 2\frac{3}{7} \cdot 1\frac{3}{4}.$

1. ნილადების გამრავლება

8. ჩვეულებრივი ნილადები გადააქციე ათწილადებად და ისე გამოთვალე:

- | | |
|------------------------------|-------------------------------|
| ა. $\frac{4}{5} \cdot 0,1;$ | გ. $0,36 \cdot \frac{3}{4};$ |
| ბ. $1\frac{7}{8} \cdot 2,4;$ | ჯ. $3\frac{1}{4} \cdot 3,6;$ |
| გ. $\frac{2}{25} \cdot 3,7;$ | ზ. $\frac{13}{20} \cdot 1,2;$ |
| დ. $\frac{3}{50} \cdot 1,8;$ | თ. $2\frac{1}{5} \cdot 5,4.$ |


9. ათწილადები გადააქციე ჩვეულებრივ ნილადებად და გამოთვალე:

- | | |
|------------------------------|------------------------------|
| ა. $0,5 \cdot \frac{3}{8};$ | გ. $\frac{3}{7} \cdot 0,12;$ |
| ბ. $0,48 \cdot \frac{7}{9};$ | ჯ. $5,6 \cdot \frac{4}{7};$ |
| გ. $\frac{3}{4} \cdot 0,25;$ | ზ. $\frac{4}{15} \cdot 0,9;$ |
| დ. $0,25 \cdot \frac{7}{4};$ | თ. $\frac{5}{12} \cdot 0,8.$ |

10. გადაიხაზე ცხრილი რვეულში და შეავსე:

| | | | | | | | | | |
|-----|----------------|---------------|----------------|---------------|----------------|---------------|----------------|-----------------|----------------|
| a | $\frac{3}{5}$ | $\frac{3}{8}$ | $2\frac{1}{6}$ | $\frac{3}{4}$ | $\frac{3}{7}$ | 2,1 | 2,8 | 0,3 | $2\frac{3}{4}$ |
| b | $1\frac{5}{6}$ | 16 | 3 | $\frac{2}{3}$ | $2\frac{7}{9}$ | $\frac{4}{7}$ | $1\frac{5}{7}$ | $\frac{49}{50}$ | 3,6 |
| a•b | | | | | | | | | |

11. გადაიხატე და შეავსე, თუ ცნობილია, რომ ყოველ წრეში უნდა ეწეროს მის ქვედა ორ წრეში მოცემული რიცხვების ნამრავლი.



12. წვენის ერთი პაკეტი 7,44 ლარი ღირს. იქნება თუ არა 150 ლარი საკმარისი ერთი ყუთი წვენის შესაძენად, თუ ყუთში:

- ა. 20 პაკეტია? ბ. 24 პაკეტია?

13. მართვულხა ფორმის ყვავილნარის სიგრძე $10\frac{2}{5}$ მ-ია, სიგანე კი – 2 $\frac{1}{4}$ მ. რა ფართობი უჭირავს ყვავილნარს?

14. ველოსიპედისტის სიჩქარეა 24 კმ/სთ, მოტოციკლეტისტის – $3\frac{3}{8}$ -ჯერ მეტი, თვითმფრინავის კი – $8\frac{2}{3}$ -ჯერ მეტი, ვიდრე მოტოციკლეტისტისა. რა მანძილია თბილისიდან ფრანკფურტამდე, თუ თვითმფრინავი ამ მანძილს 4 სთ-ში გადის?

15. მართვულხა პარალელეპიპედის ფორმის ყუთის განზომილებებია $\frac{2}{5}$ მ, $2\frac{1}{2}$ დმ და $\frac{11}{20}$ მ. იპოვე ყუთის მოცულობა.

16. მართვულხედის სიგრძეა 2,78 სმ, სიგანე – 0,2 დმ. გამოთვალე მართვულხედის ფართობი.

17. სკოლის 1200 მოსწავლეთა $\frac{2}{3}$ ბიჭია. რამდენი გოგოა სკოლაში?







ჯგუფური მეცადინეობა

1. იპოვეთ $\frac{1}{2}$ -ის $\frac{1}{3}$.

ეს დავალება შეიძლება შესრულდეს ასე: მართვულხელის ფორმის ფურცელი გაჭერით შუაზე და მოჭერით ერთი ნახევრის $\frac{1}{3}$ ნაწილი. მიიღებთ მთელი ფურცლის $\frac{1}{6}$ ნაწილს.










2. ფერადი ფურცლებისა და მაკრატლის გამოყენებით, მაგალითის მიხედვით, იპოვეთ:

ა) $\frac{1}{2}$ -ის $\frac{2}{3}$;

ბ) $\frac{1}{3}$ -ის $\frac{1}{4}$;

გ) $\frac{1}{2}$ -ის $\frac{3}{5}$.

3.




ჩაწერეთ, რომელი წილადია გამოსახული ნახაზებით? ჩაწერეთ ისე-თივე ფორმით, როგორიცაა „ $\frac{1}{2}$ -ის $\frac{1}{3}$ ნაწილი ტოლია ...“.

4. დააკვირდით მიღებულ შედეგებს და შეეცადეთ, გამოიტანოთ გონივრული დასკვნა:

ა) როგორ ვიპოვოთ წილადის $\frac{1}{3}$ ნაწილი? $\frac{2}{3}$ ნაწილი?

ბ) ჩამოწერეთ, რა გაიგეთ დღევანდელი გაკვეთილით წილადებზე. კიდევ რის გაგება გაინტერესებთ?

3. ამოცასებით ამოცანები ცილადებზე



ამოცანა 1.

ნინომ წიგნის $\frac{3}{5}$ წაიკითხა. რამდენი გვერდი წაუკითხავს ნინოს, თუ წიგნში 200 გვერდია?

ამოხსნა:

ვიპოვოთ 200-ის $\frac{3}{5}$ წანილი. $(200:5) \cdot 3 = 120$

ე.ო. ნინოს 120 გვერდი წაუკითხავს.

$$(200:5) \cdot 3 \text{ იგივეა, რაც } 200 \cdot \frac{3}{5} = \frac{200 \cdot 3}{5} = 120$$

რიცხვის წილადი წანილი რომ ვიპოვოთ, საჭიროა, ეს რიცხვი გავამრავლოთ მოცემულ წილადზე.

ამოცანა 2.

სალომემ თავისი შეგროვილი თანხის $\frac{3}{5}$ -ით თექის ნაწარმი შეიძინა, დარჩენილი თანხის $\frac{1}{2}$ -ით კი ხილი იყიდა. რა თანხა დარჩა სალომეს, თუ თავიდან მას 60 ლარი ჰქონდა.

ამოხსნა:

I ხერხი: თექის ნაწარმზე სალომემ დახარჯა $60 \cdot \frac{3}{5} = 36$ (ლარი). ამის შემდეგ მას დარჩებოდა $60 - 36 = 24$ (ლარი). ხილზე იგი დახარჯავდა $24 \cdot \frac{1}{2} = 12$ ლარს და დარჩებოდა $24 - 12 = 12$ ლარი.

II ხერხი: რადგან თექის ნაწარმზე სალომემ თანხის $\frac{3}{5}$ დახარჯა, მას კიდევ დარჩებოდა თანხის $1 - \frac{3}{5} = \frac{2}{5}$ წანილი. რადგან ხილში სალომემ გადაიხადა დარჩენილის $\frac{1}{2}$ წანილი, ე.ო. მას გადაუხდია $\frac{2}{5}$ -ის $\frac{1}{2}$, ანუ $\frac{2}{5} \cdot \frac{1}{2} = \frac{1}{5}$. ამის შემდეგ სალომეს დარჩებოდა მთელი თანხის $\frac{2}{5} - \frac{1}{5} = \frac{1}{5}$ (წანილი). $60 \cdot \frac{1}{5} = \frac{60 \cdot 1}{5} = 12$ (ლარი).


სალომეს 12 ლარი დარჩა.




სავარჯიშოები:

1. როგორ ვიპოვოთ მოცემული რიცხვის წილადი ნაწილი?
2. როგორ ვიპოვოთ რიცხვის $\frac{3}{4}; \frac{7}{8}; \frac{1}{2}$?
3. ფერმერმა მთელი ფართობის $\frac{5}{8}$ ნაწილი მოხნა. რამდენი ჰქექტარი დარჩა ფერმერს მოსახნავი, თუ მთელი ნაკვეთის ფართობი 3,2 ჰა იყო?
4. დათომ თავისი ხელფასის $\frac{1}{5}$ -ით კომუნალური გადასახადები გადაიხადა. რა თანხა დარჩა დათოს ხელფასიდან, თუ მისი ხელფასი 1200 ლარია?
5. ფეხსაცმლის ფასი ერთი მეათედით შემცირდა. რა ღირს ფეხსაცმელი, თუ გაიაფებამდე მისი ფასი 160 ლარი იყო.
6. კასრის $\frac{3}{4}$ შაბიამნითაა სავსე. მევენახემ შაბიამნის $\frac{2}{5}$ ნაწილი გამოიყენა. კასრის რა ნაწილს იკავებს დარჩენილი შაბიამნი?
7. მუშის ხელფასი ერთი მესამედით გაიზარდა. რამდენი ლარი გახდა მუშის ხელფასი, თუ მომატებამდე მისი ხელფასი 480 ლარი იყო?
8. მაღაზიაში 240 კგ ფეხილი იყო. პირველ დღეს გაიყიდა ფეხილის $\frac{1}{6}$ ნაწილი. მეორე დღეს კი დარჩენილის $\frac{1}{5}$. რამდენი კილოგრამი ფეხილი დარჩა მაღაზიაში?
9. თიკამ პირველ დღეს წაიკითხა 300-გვერდიანი წიგნის $\frac{1}{5}$, მეორე დღეს – უკვე წაკითხულის ნახევარი; მესამე დღეს – იმდენივე, რაც პირველ და მეორე დღეს ერთად; მეოთხე დღეს კი დარჩენილის $\frac{2}{5}$. რამდენი გვერდი დარჩა წასაკითხი თიკას?
10. შეადგინე ამოცანა, რომლის ამოსახსნელად საჭირო იქნება შემდეგი რიცხვითი გამოსახულების გამოანგარიშება:
 - a. $320 + 320 \cdot \frac{2}{5}$;
 - b. $600 - (600 \cdot \frac{1}{5} + 600 \cdot \frac{1}{4})$.
11. წიგნის მაღაზიამ პირველ დღეს გაყიდა მიღებული წიგნების $\frac{2}{5}$ ნაწილი, მეორე დღეს – დარჩენილის $\frac{3}{20}$. მიღებული წიგნების რა ნაწილი გაიყიდა ორივე დღეს?
12. ავტობუსში 30 ქალი და 20 კაცი იჯდა. გაჩერებაზე ჩავიდა ქალების $\frac{2}{3}$ და კაცების $\frac{1}{4}$ ნაწილი. რამდენი მგზავრი დარჩა ავტობუსში?
13. ფოტოაპარატის ფასი ორჯერ გაიზარდა, ორივეჯერ თავისი თავდაპირველი ფასის მეოთხედით. რა ღირს ფოტოაპარატი, თუ გაძვირებამდე ის 320 ლარი ლირდა?



- 14.** ქსოვილი ორჯერ ჩამოაფასეს, ორჯერვე თავდაპირველი ფასის მეხუთედით. რა ლირს 1 მ ქსოვილი, თუ მისი ფასი ჩამოფასებამდე იყო 50 ლარი?
- 15.** ტყეში ხეების $\frac{1}{5}$ ცაცხვია, $\frac{1}{4}$ კი – ფიჭვი. ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელი შეიძლება იყოს ტყეში ხეების რაოდენობა?
- ა.** 570; **ბ.** 584; **გ.** 580.
- 16.** თუ ნატოს თანხას დავაკლებთ მის ნახევარს, მერე მისსავე მეოთხედს და კიდევ ხუთ ლარს, ნატოს დარჩება 5 ლარი. რა თანხა ჰქონდა ნატოს თავდაპირველად?
- 17.** ფერმერმა შინაური ცხოველების გამოსაკვებად 168 კგ თივა იყიდა. პირველ დღეს შეიჭამა ამ თივის $\frac{4}{7}$ ნაწილი, მეორე დღეს – დარჩენილის $\frac{1}{3}$. რამდენი თივა შეიჭამა მეორე დღეს?
- 18.** გამოთვალე:
- ა.** $(1,6 + 154,66 : 70,3) : 1,9 - 0,9$;
- ბ.** $(89,54 : 2,2 + 3,3) : 1,1 + 0,9$.
- 19.** ორ ტომარაში 140 კგ ფერვილია. თუ პირველი ტომრიდან ფერვილის 0,125 ნაწილს მეორე ტომარაში გადავიტანთ, ტომრებში ფერვილის რაოდენობა გათანაბრდება. რამდენი კილოგრამი ფერვილია თითოეულ ტომარაში?
- 20.** დაალაგე ზრდის მიხედვით: $\frac{13}{19}; \frac{15}{17}; \text{და } \frac{15}{19}$.
- 21.** ნახატზე გამუქებული ფიგურა მონაკვეთებითა და ნახევარნრენირის რკალებითაა შედგენილი. იპოვე ამ ფიგურის ფართობი, თუ $AM = EN = 2$ სმ, $BC = CD = 1$ სმ და $AB = DE = 2$ სმ.
- 
- 22.** ორი სადგურიდან ერთდროულად ერთმანეთის შესახვედრად ორი მატარებელი გამოვიდა. ერთი მატარებლის სიჩქარე 48,25 კმ/სთ-ია, მეორისა – 40,75 კმ/სთ. რა მანძილი იქნება მათ შორის მოძრაობის დაწყებიდან 4,5 სთ-ის შემდეგ, თუ სადგურებს შორის მანძილი 425 კმ-ია? რა მანძილი იქნება მატარებლების შესახვედრამდე 1,5 სთ-ით ადრე?

გამორჩევა



1. გამოიყენე გამრავლების განრიგებადობის კანონი და გამოთვალე:

5) $47 \cdot 30$; 6) $36 \cdot 57 + 64 \cdot 57$.

გამრავლების განრიგებადობის კანონი შეკრების მიმართ სამართლიანია წებისმიერი რიცხვებისთვის.

2. შეასრულე გამოთვლები, რაც შეიძლება მარტივი ხერხით:

$$\textcircled{a}) \ 16\frac{1}{3} \cdot 6; \quad \textcircled{b}) \ 5 \cdot 2\frac{2}{7}; \quad \textcircled{c}) \ (4\frac{2}{3} + 5\frac{1}{2}) \cdot 6.$$

3. VI კლასის მოსწავლეებმა სკოლის ეზოს გამწვანება გადაწყვიტეს. სკოლამ მათ 260 ნერგი მისცა. VI^ა კლასის მოსწავლეებმა დარგეს იმის $\frac{3}{4}$ ნაწილი, რაც VI^ა კლასის მოსწავლეებმა, VI^ა კლასში კი $-\frac{1}{3}$ იმისა, რაც დარგეს VI^ა კლასის მოსწავლეებმა. რამდენი ნარგავი დარგო თითოეულმა კლასში?

თუ მე-3 ამოცანაში სწორად შეადგინე განტოლება, მაშინ განტოლების ამოხსნისას გამოიყენებდი გამრავლების განრიგება-დობის კანონს.

ମାଗାଲୀତି ୧.

გაამარტივე $\frac{2}{3}a + \frac{3}{5}a$ გამოსახულება და იპოვე მისი მნიშვნელობა, თუ $a=2\frac{1}{2}$.

ამონესნა:

$$\begin{aligned}\frac{2}{3}a + \frac{3}{5}a &= ac + bc = c(a + b) \\ \left(\frac{2}{3} + \frac{3}{5}\right)a &= \frac{19}{15}a \\ \frac{19}{15} \cdot 2\frac{1}{2} &= \frac{19}{15} \cdot \frac{5}{2} = \frac{19}{6} = 3\frac{1}{6}.\end{aligned}$$

$$2\frac{1}{3} = 2 + \frac{1}{3}$$

$$a(b + c) = ab + ac$$

$$\frac{2}{3}a = \frac{2}{3} \cdot a$$



სავარჯიშოები:

$$\begin{aligned} 3\frac{1}{4} \cdot 8 &= (3 + \frac{1}{4})8 = \\ 3 \cdot 8 + \frac{1}{4} \cdot 8 &= 24 + 2 = 26 \end{aligned}$$

1. ჩამოაყალიბე გამრავლების განრიგებადობის კანონი.
2. როგორი სახე ექნება გამრავლების განრიგებადობის კანონს გამოკლების მიმართ?
3. იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა:

| | |
|------------------------------------|-----------------------------------|
| ა. $15(80 + \frac{4}{15})$; | დ. $9(70 + \frac{2}{3})$; |
| ბ. $(15 - \frac{7}{17})17$; | გ. $16(50 + \frac{7}{8})$; |
| გ. $(90 - \frac{2}{5}) \cdot 15$; | ზ. $(40 - \frac{3}{8}) \cdot 8$. |
4. გამრავლების განრიგებადობის კანონის გამოყენებით იპოვე შემდეგი ნამრავლის მნიშვნელობა:

| | |
|------------------------------|-------------------------------|
| ა. $9\frac{1}{4} \cdot 16$; | დ. $11\frac{2}{3} \cdot 12$; |
| ბ. $8\frac{2}{7} \cdot 14$; | გ. $7\frac{2}{9} \cdot 18$; |
| გ. $4\frac{3}{5} \cdot 25$; | ზ. $2\frac{3}{11} \cdot 22$. |
5. 1 ჰექტრიდან აიღეს $104\frac{2}{5}$ კ კარტოფილი. რამდენ ცენტნერ კარტოფილს აიღებენ ორი ნაკვეთიდან, რომელთა ფართობებია 511 ჰა და 689 ჰა?
6. 1 კგ შაქარი $2\frac{11}{20}$ ლარი ღირს. სულ რამდენი ლარი უნდა აიღოს გამყიდველმა სამი მყიდველისგან ერთად, თუ პირველმა იყიდა $14\frac{1}{2}$ კგ, მორემ – $17\frac{1}{2}$ კგ და მესამემ – 8 კგ შაქარი?
7. გამოთვალე მარტივი ხერხით:

| | |
|--|--|
| ა. $\frac{7}{12} \cdot \frac{4}{21} + \frac{5}{12} \cdot \frac{4}{21}$; | გ. $\frac{5}{9} \cdot \frac{13}{28} + \frac{13}{28} \cdot \frac{7}{9}$; |
| ბ. $1\frac{5}{7} \cdot \frac{6}{17} - \frac{5}{7} \cdot \frac{6}{17}$; | დ. $2\frac{8}{17} \cdot 1\frac{5}{6} - 1\frac{5}{6} \cdot 1\frac{3}{17}$. |
8. გაამარტივე გამოსახულება და იპოვე მისი მნიშვნელობა:

| | |
|--|--|
| ა. $\frac{1}{2}a + \frac{1}{3}a - \frac{1}{4}a$, თუ $a = \frac{4}{5}; 1\frac{5}{7}; 0$. | ბ. $\frac{3}{4}x + 1\frac{1}{3}x - \frac{1}{2}x$, თუ $x = \frac{6}{7}; 0,6; 2\frac{1}{19}$. |
|--|--|

9. იპოვე ნახაზზე მოცემული ფიგურის პერიმეტრი და ფართობი.

გამორიგენა

